

ქ. მცხეთა

30 მაისი 2016 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, სს „საქენერგორემონტი“, წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის გიორგი მაღრაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, ვლებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ტრანსფორმატორის შეკეთება.(CPV50500000).

### 2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2016 წლის 10 ივნისის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა 3500 (სამიათას ხუთასი) ლარი.

### 3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

31 „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

3.1.1 უზრუნველყოს მომსახურების შესრულება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

3.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

### 4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

4.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

4.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

### 6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 თუ „მიმწოდებელი“ და „შემსყიდველი“ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

9.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი ოთარ ჩილოშვილი.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

## 12. ანგარიშსწორების პირობები

12.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეული მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი“

სს „საქენერგორემონტი“

პირადი №236037962

სს „საქართველოს ბანკი“

ა/ა GE68BG000000348284100

„შემსყიდველი“

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ს/კოდი: 236098824

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბ.კ TRESGE22

ა/N GE24NB0330100200165022

მის: თბილისი, აღდანი-ნაძალადევის რაიონი



მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

